

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი #13

ქ. ონი

13. 12. 2018 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 24 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, ჯონი ბურდილაძე, ვასილ მაისურაძე, სონია გუგეშაშვილი, გორჩა მეტრეველი, ვლადიმერ ჩლაიძე, დავით მეტრეველი, დიმიტრი გოშაძე, დავით სხირტლაძე, ვლადიმერ ბერელიძე, ჭაბუკა კერვალიშვილი, გიორგი მეტრეველი, გიორგი სულაძე, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, მამუკა ყავლაშვილი, გიორგი მაისურაძე, შორენა რეხვიაშვილი, გელა მეტრეველი, აველ ორდინიძე, ირმა სტეფანაძე-იაშვილი, როზა ჩალაძე, ალექსანდრე ბერიშვილი.

არ ესწრებოდა 9 წევრი: შუქურა ჯაფარიძე, ანა ბაქრაძე, გივი მეტრეველი, ვანო ბალაშვილი, ღვთისაზარ ბაკურაძე, კესო ჩარკვიანი, ბესიკი მაისურაძე, ნოდარ ბურდილაძე, ბექარი მაისურაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის I მოადგილე მერაბ ორდინიძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი, მერიის კულტურის სამსახურის სოციალური განყოფილების უფროსი მარინე რაზმაძე, ეკონომიკის სამსახურის უფროსი დავით რაზმაძე.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. „ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბრის #16 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/მომხს. მერაბ ორდინიძე მერის პირველი მოადგილე/

2. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. მერაბ ორდინიძე მერის პირველი მოადგილე/

3. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. მერაბ ორდინიძე მერის პირველი მოადგილე/

4. „ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. მ. რაზმაძე-კულტურის სამსახურის სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსი/

5. „ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის #44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. დ. რაზმაძე-მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი /

6. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. გ. მეტრეველი-კომისიის წევრი/

7. განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. ს. გუგუშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

8. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

9. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. ს. გუგუშაშვილი-კომისიის წევრი/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს 1.„ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბრის #16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. მერაბ ორდინიძე მერის პირველი მოადგილე/

მომხსენებელმა, მ. ორდინიძემ, გააცნო საკრებულოს წევრებს დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბრის #16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე 22, წინააღმდეგი -2

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი .

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. მერაბ ორდინიძე მერის პირველი მოადგილე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ და აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტი განხილულია კომისიებისა და ფრაქციის სხდომებზე, საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე, დაბრუნდა შენიშვნებით, რომელთა გათვალისწინებაც არ მოხდა, რადგან იმ თემების მაჟორიტარ დეპუტატებს, რომლებმაც გამოთქვეს უკმაყოფილება მომავალი წლის ბიუჯეტში მათი თემების პრობლემების გათვალისწინებლობის გამო, გასულ სხდომაზე გაეცათ პასუხი, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ბიუჯეტის დაზუსტებისას მოხდება ამა თუ იმ სოფელში პრიორიტეტული საკითხების დაფინანსება და პრობლემების მოგვარება, რაც შეეხება საკრებულოს უხელფასო წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებისათვის ხარჯების ანაზღაურების თანხის მომატებას, აღნიშნული თანხა განსაზღვრულია საკრებულოს განკარგულებით და შესაბამისად, თანხის მატებაც უნდა განსაზღვროს საკრებულომ, ხოლო შენიშვნაზე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ავტომანიქანის მომსახურების თანხის განსაზღვრის თაობაზე, მ. ორდინიძემ განაცხადა, რომ პერსონალური ავტომობილით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და მერს, შესაბამისად საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ავტომობილის მომსახურების თანხა არ შეიძლება იყოს გათვალისწინებული ბიუჯეტის პროექტში.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი.

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. მერაბ ორდინიძე მერის პირველი მოადგილე/

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტი

მოისმინეს: 4. ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. მ. რაზმაძე განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი.

მოისმინეს: 5. „ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის #44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. დ. რაზმაძე-მერიის ეკონომიკის სამსახურის

უფროსი /

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის #44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 6. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. გ. მეტრეველი-კომისიის წევრი/

კომისიის თავმჯდომარის, ვ. ბალაშვილის, შვებულებაში ყოფნის გამო, ინფორმაცია სხდომაზე წარადგინა კომისიის წევრმა გოჩა მეტრეველმა და საკრებულოს წევრებს გააცნო ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს: 7. განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. ს. გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

ს. გუგეშაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს: 8. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს: 9. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. ს. გუგეშაშვილი-კომისიის წევრი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2018 წელს განეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამონაწერის შემდეგ ფრაქცია „ონელის“ წევრმა ირმა სტეფანაძე-იაშვილმა წარადგინა 10. 12. 2018წ. #3 ფრაქციის სხდომის ოქმი და განაცხადა, რომ სხდომის გადაწყვეტილებით, ფრაქციის თავმჯდომარის ავადმყოფობის გამო, ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალა ფრაქციის წევრს ირმა სტეფანაძე-იაშვილს.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოშვილი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე